პროფესიული საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

20/08/2026

MES 8 26 0001072681

გადაწყვეტილება

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვის“ დამატების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების განაცხადში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 51-ემუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების აკადემიას (ს/კ: 406056173) მიენიჭოს უფლება დამატებით განახორციელოს დანართით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ **(დანართი).**

2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2026 წლის 6 აგვისტო.

3.პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 20 აგვისტოს №1071669 ოქმის მეორე საკითხი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

4. საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მერაბ ალექსიძის ქუჩა, მეორე შესახვევი №2 ან/და ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
კაკაბაძე ელენე

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
გიგაშვილი ეკატერინე